

# უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობის შემდგომი განვითარება, მასობრივი განადგურების იარაღის გაუზრცელებლობისა და შეიარაღების უკანონო ექსპორტის ჩათვლით

*ალექსანდრე კუხიანიძე*

## შესავალი

მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების პრობლემა საქართველოში ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში შეიქმნა. საქართველო, როგორც საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილი, უშუალოდ ესაზღვრებოდა თურქეთს, როგორც ნატოს წევრ ქვეყანას, რის გამოც საქართველოს ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით იყო განლაგებული ბირთვული, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და ჩვეულებრივი იარაღი, ისევე, როგორც მისი შენახვისა და გამოყენებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა.

1990-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში, საქართველოდან გავიდა ჯერ საბჭოთა, ხოლო შემდეგ რუსული სამხედრო შენაერთების ნაწილი. მათთან ერთად ქვეყნიდან გატანილი იყო მასობრივი განადგურების იარაღიც. საქართველოს ახლად ჩამოყალიბებული მთავრობა მასობრივი იარაღის გატანის პროცესს არ ეწინააღმდეგებოდა. პირიქით, უსაფრთხოებისა და მასობრივი განადგურების იარაღის გაუზრცელებლობის საკითხზე და შეიარაღების უკანონო ექსპორტის აღკვეთაზე მან მუშაობა დამოუკიდებლობის მიღების პირველივე წლებში დაიწყო.

საერთაშორისო საზოგადოება შემოფოთებული იყო საბჭოთა კავშირის ნგრევის პროცესში მასობრივი განადგურების იარაღზე, მის კომპონენტებზე, მასალებზე და დამზადების ტექნოლოგიებზე კონტროლის დონის შესუსტების გამო. ეს ფაქტი საერთაშორისო მშვიდობას მნიშვნელოვნად უზრდიდა საფრთხეს.

საქართველო არ აწარმოებს მასობრივი განადგურების იარაღს, მაგრამ მისი გავრცელება დღემდე მნიშვნელოვან პრობლემად რჩება და დამოკიდებულია რამდენიმე ძირითად ფაქტორზე:

პირველი, საქართველო არის სატრანზიტო გზების ქვეყანა და კავკასიის რეგიონში წარმოადგენს ძირითად გზაჯვარედინს, რომელიც აკავშირებს, ერთი მხრივ, დასავლეთ-აღმოსავლეთის და, მეორე მხრივ, ჩრდილოეთ-სამხრეთის ქვეყნებს. ვაჭრობის განვითარების თვალსაზრისით, ეს ფაქტორი პოზიტიურ როლს თამაშობს, მაგრამ ამავე დროს ხელს უწყობს სხვადასხვა ფორმის კონტრაბანდას. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას კონფლიქტის ზონებში, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, სადაც საქართველოს ხელისუფლების მიერ დღემდე ვერ კონტროლდება სასაზღვრო-გამშვები პუნქტები ფსოუზე და როკის გვირაბთან.

მეორე, საქართველოს ჩრდილოეთით, მისი უშუალო მეზობელი ქვეყანა, რუსეთი, მასობრივი განადგურების იარაღის მწარმოებელია, ხოლო საქართველოს სამხრეთში განლაგებული ქვეყნები ან მიისწრაფიან ამ იარაღის წარმოებისაკენ, ან მათ ტერიტორიებზე უკონტროლოდ ფუნქციონირებენ სხვადასხვა საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებსაც სურთ ტერორისტულ აქტებში ამ იარაღის გამოყენება.

მესამე, 1990-იან წლებში საბჭოთა კავშირის ნგრევის შედეგად აღმოცენებული ახალი სახელმწიფოები იმდენად სუსტები აღმოჩნდნენ, რომ ვერ შეძლეს საკუთარი საზღვრების სათანადო გაკონტროლება და, შესაბამისად, მასობრივი განადგურების იარაღის ან მისი კომპონენტების გაუზრცელებლობის გარანტიების შექმნა. ეს უპირველეს ყოვლისა ეხება საქართველოს, რომელიც განსაკუთრებით 1990-იანი წლების პირველ ნახევარში, შიდა შეიარაღებული კონფლიქტების, ცენტრალური ხელისუფლების სისუსტისა და საზოგადოებაში შექმნილი ქაოსის გამო, ვერ აკონტროლებდა საკუთარ საზღვრებს, რამაც ხელი შეუწყო ქვეყანაში კონტრაბანდის, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის აყვავებას. საქართველოში ეს პერიოდი გრძელდებოდა 1990 წლიდან 2003 წლის ნოემბრამდე და ხასიათდებოდა კორუფციული პირამიდების არსებობით, პოლიტიკური და კრიმინალური დაჯგუფებების შეზრდით, საზღვრების მოუწყობლობით და

მათზე არსებული განუკითხაობით ან სრული უკონტროლობით. აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაიწყო სხვადასხვა ღონისძიება მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს გავლით ორმაგი დანიშნულების მაღალტექნოლოგიური მოწყობილობების, ჩვეულებრივი, ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის კონტრაბანდის საშიშროება ძალიან მაღალია, და ეს არ არის მხოლოდ ალბათობა, არამედ ფაქტებით დადასტურებული რეალობაა. თუ 1990-იანი წლების პირველ ნახევარში ბირთვული მასალების კონტრაბანდა ძირითადად ხორციელდებოდა რუსეთიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან დასავლეთ ევროპის მიმართულებით. მაშინ, 1990-იანი წლების მეორე ნახევარში და, განსაკუთრებით, 2000-იანი წლებში ამ გზებმა რუსეთიდან და ყაზახეთიდან გადმოინაცვლა სამხრეთში — ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის გავლით — თურქეთში, ირანში, სირიაში, ლიბიაში, 2003 წლამდე ერაყში და სხვა არაბულ ქვეყნებში.

დღეს ყველაფერი ეს მოითხოვს გადაუდებელი ზომების მიღებას და იარაღისა და საშიში მასალების გაუფრცვლელობის დასრულებული სისტემის ჩამოყალიბებას. საქართველოსთვის გავრცელების პრობლემის გადანყვეტა არ ნიშნავს მხოლოდ შესაბამის საერთაშორისო კონვენციებთან შეერთებას. მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების პრობლემის მოგვარება პირდაპირაა დამოკიდებული სახელმწიფო საზღვრების ეფექტურ კონტროლზე, ქვეყანაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებაზე და სიღარიბის დაძლევაზე (რადიაციული მასალებით ვაჭრობას, როგორც წესი, ღარიბი ფენის წარმომადგენლები ცდილობენ). ეს ყველაფერი კი შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო მართვის ეფექტური რეფორმის პირობებში.

## უკონტროლოდ მიტოვებული რადიაციული და ბირთვული მასალები და კონტრაბანდის მცდელობები

1994 წლის 7 მარტს საქართველო შეუერთდა ხელშეკრულებას ბირთვული გაუფრცვლელობის შესახებ, ხოლო 1997 წელს დაიწყო თანამშრომლობა ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოსთან. ამის შედეგად, ქვეყანაში აღმოჩენილ იქნა უკონტროლოდ მიტოვებული 300-ზე მეტი რადიაციის წყარო. საქართველოს სპეცსამსახურების მიერ აღიკვეთა რადიოლოგიური და ბირთვული მასალების კონტრაბანდის რამდენიმე ათეული მცდელობა. რიგ შემთხვევაში, დაკავებული კონტრაბანდისტების ხელში აღმოჩნდა ისეთი ბირთვული მასალა, როგორიცაა გამდიდრებული ურანი 235 და პლუტონიუმი. ასეთი მასალების გამოყენებით შესაძლებელია, შესაბამისი ტექნოლოგიის შემთხვევაში, ბირთვული იარაღის დამზადება.

კონტრაბანდის მცდელობათა უმრავლესობა დაფიქსირებულია რუსეთიდან ცხინვალის რეგიონის გავლით ბათუმის მიმართულებით და შემდეგ, თურქეთის ტერიტორიაზე ტრანსპორტირებით, სადაც 1990-იანი წლებში ჩამოყალიბდა ბირთვული მასალების აქტიური შავი ბაზარი. რადიაციული მასალებით კონტრაბანდის მცდელობა ხდებოდა რუსეთიდან ბათუმის მიმართულებით აფხაზეთის გავლითაც. გარდა ამისა, დაფიქსირდა რუსეთის ტერიტორიიდან ცხინვალის რეგიონის გავლით სომხეთის მიმართულებით და სომხეთის ტერიტორიიდან ახალქალაქის გავლით ბათუმისკენ ბირთვული მასალების კონტრაბანდის მცდელობა.

ის ფაქტი, რომ თვით თურქეთის ტერიტორიაზე, კერძოდ სტამბულში, უკვე დაფიქსირებულია თურქი და ქართველი მოქალაქეების მონაწილეობით რუსული წარმოების ბირთვული მასალების კონტრაბანდის მცდელობა, მეტყველებს იმაზე, რომ პრობლემა უაღრესად აქტუალურია და საშიშროებას უქმნის არა მარტო დასავლეთის ქვეყნებს, არამედ თვით თურქეთსაც ქურთთა ტერორისტული დაჯგუფებების მხრიდან. უფრო მეტიც, ბირთვული ტერორიზმი ასევე სახიფათოა საქართველოსთვისაც, იმის გათვალისწინებით, რომ მას ჰყავს უამრავი გარე და შიდა მტერი.

## მასობრივი განადგურების იარაღზე და მისი კომპონენტების ტრანსპორტირებაზე საექსპორტო კონტროლი

საქართველოს წინაშე დგას მეტად მწვავე პრობლემა — მასობრივი განადგურების იარაღის გაუფრცვლელობის ეფექტური რეჟიმის შექმნა. ეს პრობლემა ითხოვს ღონისძიებათა მთელი კომპლექსის ჩატარებას. თუმცა საქართველო არ არის მასობრივი განადგურების იარაღის მწარმოებელი, მაგრამ ტრანზიტული ქვეყანაა. ამიტომ, მასობრივი განადგურების იარაღზე და მის კომპონენტებზე საექსპორტო კონტროლის დანერგვა არის გაუფრცვლელობის რეჟიმის ძირითადი ელემენტი.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე საქართველოს არ ჰქონდა შემუშავებული მასობრივი განადგურების იარაღზე საექსპორტო და სასაზღვრო კონტროლის სისტემა. სულ თავიდან, ექსპორტის კონტროლის საკითხებში დასავლეთის ქვეყნები ბევრად უფრო მეტ ყურადღებას უთმობდნენ რუსეთს, ბელორუსიას, უკრაინასა და ყაზახეთს, ვიდრე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს. ადგილობრივ ფაქტორებთან ერთად, ასეთმა უყურადღებობამ ბოლო წლებში სწორედ ამ რეგიონში გამოიწვია ბირთვული კონტრაბანდის გააქტიურება. თვით საქართველოს საექსპორტო კონტროლის შესაძლებლობები შეზღუდულია, როგორც პოლიტიკური მიზეზით (საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის მიერ სეპარატიზმის მხარდაჭერა, და რუსეთთან, აზერბაიჯანსა და სომხეთთან საზღვრის დემარკაციის არარსებობა), ასევე ეკონომიკური და სოციალური პირობებით.

საქართველოში მიღებულია მთელი რიგი ნორმატიული აქტები, რომლებიც მიმართულია ჩვეულებრივი და მასობრივი განადგურების იარაღის კონტრაბანდის აკრძალვისკენ. 1995 წლის 8 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი №504, რომელიც კრძალავს საქართველოს ტერიტორიაზე ტოქსიკური და რადიაციული მასალების ტრანზიტსა და იმპორტს. 1996 წლის სექტემბერში ვაშინგტონში ჩატარდა ფორუმი ექსპორტის კონტროლზე და გაუფრცვლელობაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის მთავრობების წარმომადგენლებმა. ამ დროიდან საქართველომ დაიწყო სისტემატური მუშაობა გაუფრცვლელობაზე და საექსპორტო კონტროლზე. ამის შედეგად, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 2 დეკემბრის ბრძანებულების მიხედვით, იქმნებოდა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი რადიაციულ, ქიმიურ, ბიოლოგიურ მასალებსა და მაღალ ტექნოლოგიებზე კონტროლის სისტემის დანერგვის მიზნით. 1998 წელს კი პარლამენტმა მიიღო კანონი ექსპორტის კონტროლზე, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება მასობრივი იარაღის გაუფრცვლელობის საქმეში.

2003 წლის შემდეგ საქართველოში აქტიურმა ბრძოლამ კორუფციის, ორგანიზებული დანაშაულისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საექსპორტო კონტროლი, კერძოდ, კონტროლი მასობრივი განადგურების იარაღისა და მისი კომპონენტების ტრანსპორტირებაზე.

მიუხედავად ამისა, საქართველოს საზღვრების ნაწილი დღემდე რჩება დაუცველი, განსაკუთრებით აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის, აგრეთვე აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის ზოგიერთ მონაკვეთზე. რიგ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე საჭიროა თანამედროვე რადიაციული დეტექტორების დაყენება. სიღარიბის დაძლევისა და საგანმანათლებლო პროგრამები კი შეამცირებენ მოსახლეობის ღარიბი და ნაკლებად განათლებული ფენების მიერ რადიაციული მასალებით ვაჭრობის მცდელობას.

# European Neighbourhood Policy and Georgia

## Analyses of independent experts

**Tbilisi**  
**2007**

The publication has been prepared and published by the Friedrich-Ebert-Stiftung (FES), “Open Society – Georgia” Foundation (OSGF) and CORDAID Foundation.



The Representation  
of Friedrich-Ebert-Stiftung in Georgia  
App. 7, Bldg. 4, 1st Lane, Ilia Chavchavadze ave., Tbilisi 0179  
tel.: (+99532) 250728 / 912695 / 912615 fax: 226727  
e-mail: [stiftung@fesgeo.org.ge](mailto:stiftung@fesgeo.org.ge)



“Open Society – Georgia” Foundation  
10, Tamar Chovelidze str., Tbilisi 0108  
tel.: (+99532) 250463 / 250592 fax: 291052  
e-mail: [contact@osgf.ge](mailto:contact@osgf.ge)



The Representation  
of CORDAID Foundation in Georgia  
34, Kazbegi ave., site # 3, Tbilisi 0177  
tel.: (+99532) 420030 fax: 420060  
e-mail: [misha@cordaid.ge](mailto:misha@cordaid.ge)

The opinions presented in the publication are those of the authors

Copyright ©, 2007, Friedrich-Ebert-Stiftung, “Open Society – Georgia” Foundation,  
CORDAID Foundation